„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. –4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

**„დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლებელთათვის 3 მანათი.**

## შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ ამ წინა ხანებში გურიაში გარდაიცვალა ერთი უხუცესი თავადიშვილი დათა ბუგუნავა. თუ რამდენის მხრით შესანიშნავი კაცი იყო დათა ბუგუნავა და რა ძვირად მოიძებნება ეხლა ჩვენს ქვეყანაში ამ გვარი ტიპი—ამაზედ ჩვენი გაზეთის ერთს შემდევ ნომერთაგანში წაიკითხავთ.

⊖⊖⊖ ქალაქის ბაღებში მოსამსახურე იმერლობა შემოგვჩივიან ზოგიერთ ბაღის პატრონებს თავისუფალ მოქმედებაზე. უ—«ზალოგოდ» ერთსაც არ გვაძლევენ ადგილს ბაღის პატრონებიო. ეს გარემოება ადრეც მოვიხსენიეთ ჩვენ, მაგრამ ბაღის პატრონებმა ერთიდამ მეორე ყურში გაატარეს. საიდამ შემოიღეს ეს წესი ჩვენმა ბაღების «ხაზეინებმა»—ვერაფერი გაგვიგია. მოსამსახურე ბილეთს აძლევს ხელში ალას და ეს ზალოგი, რომელიც ხშირად ოც-და-ათ მანათამდე აჰქავთო, რისასი არის?

⊖⊖⊖ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების თავ მჯდომარემ თავადმა ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვმა საზოგადოების მხრივ იშუამდგომლა სახემწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ თბილისში აკლიმატიზაციურ ბაღთან ერთად გაიხსნას მებაღობის სკოლა მოსამზადებელის კლასით.

სახემწიფო მინისტრს ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია და სასარგებლოდ დაუნახავს, რომ ამ ნაირი სკოლის გახსნა კავკასიაში ადგილობრივ მცხოვრებლებს დიდს სარგებლობას მოუტანს, რისათვისაც გადაუწყვეტია ყოველ წლივ მიეცეს ამ სკოლას მთავრობის მხრივ წელიწადში 3,500 მან.; ამას გარდა საზოგადოების თავმჯდომარის შუამავლობით მინისტრს გადუწყვეტია მიეცეს საზოგადოების სკოლის შენობის ასაშენებლად 6,000 მან., წელიწადში ორას-ორას თუმნობით დაწყობილი 1886 წლიდამ. («კავკაზი»).

⊖⊖⊖ თბილისის საფილოქსერო დასს გაუსინჯავს ვენახები დუშეთის მაზრაში სოფ. ნატახტარში, საშაბუროში, ნაოზაში, წილკანში, ძალისში, მჯადის-ჯვარში, ჩელურთში, ქსოვრისში, დამპალაში, მუხრანში, ციხის-ძირში, წიწამურში და კიდევ სხვა სოფლებში, მაგრამ ფილოქსერის არსებობის ნიშნები ვერსად ვერ უნახავს.

⊖⊖⊖ სოხუმის საფილოქსერო დასს გაუსინჯავს სოხუმის ახლოს მდებარე ვენახები, რომელნიც ფილოქსერით არიან დაზიანებულნი და ავადმყოფი ვაზები ამოუთხრიათ და დაუწვავთ. სოხუმზე მოშორებით მდებარე ვენახები კი არა ყოფილან ამ სენით დაზიანებულნი. აგრეთვე არა ყოფილან დაზიანებულნი ტყის ვაზები.

## «დროების» კორესპონდენცია

თელავი, ენკენისთვის 1. იყო დრო (ამ სამიოდე წლის წინად), როდესაც ჩვენს კურთხეულს თელავში დღე ისე არ გავიდოდა, რომ მის რომელიმე ბაღის ფანჩატურში მთელი გუნდნი მოქეიფეთა წრეს-გარდასულ ქეიფში არ ყოფილიყვნენ. ამ წრე-გარდასული ქეიფის აუცილებელი კუთვნილება, სხვათა შორის, როგორც მოგეხსენებათ, არის და იყო ხოლმე ზურნა და დაფ-დოლი. ეს ქეიფი, დაწყებული შუა-დღის საათის თორმეტიდამ გრძელდებოდა მთელს ღამეს და ამათი ზურნა-დაფ დოლის და კიჟინის ვუი და ვაი მოსვენებას არ აძლევდა მშვიდობის-მოყვარე მუშაკთა. აქ ჩვენ იმას აღარ ვამბობთ, რომ ამ გვარი ქეიფები, რომელზედაც ჩვენი ახალგაზდები განუზომელ ლოთობას და ფულების ფლანგვას ეძლეოდენ, დიდსა და დიდს წყლულს შეადგენდენ ჩვენის ისეაც გახრწნილ საზოგადო ცხოვრებისას. მაგრამ, აი დანიშნეს ქალაქის ბოქაულად ვ. ვ—ძე. ამ ახალგაზდა ბოქაულმა, რასაკვირველია მაღლიდამ ხელმძღვანელობით, დიდი ყურადღება მიაქცია ჩვენი ცხოვრების ამ გახრწნილს ჩვეულებას და შეუდგა მის (ქეიფების) ძირიანად ამოგდებას. ამან კარგად იცოდა, რომ ქართველი კაცი უზურნოდ და უდაფდოლოდ ქეიფს ვერას დროს ვერ მოახერხებს და უწინარეს ყოველთა მეზურნეთა ყოფა ქცევას მიაქცია ყურადღება და გამოუცხადა, რომ დღეის შემდეგ მათ ნება აღარა აქვთ ღამის ცხრა ათი საათის შემდეგ ზურნა დაუკრან. ეს განკარგულება ბევრს ახალ-გაზდას ტყვიასავით ეცა გულში და აი, იმ დროს მოჰყვნენ, თვით «დროების» ფურცლებზედ, იერემიის გოდებას, რომ ჩვენს ნაციონალურს მუსიკას სდევნიანო. ეს იყო და ეს, რომ მას შემდეგ, ქეიფებმა და ლოთობამ შესამჩნევად იკლო თელავში და ეს მოვლენა ყოველს შეგნებულს მამულის-შვილს უკეთესის მომავლის იმედს უღვიძებდა გულში. მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ასე ადვილი არ არის ძვალ-რბილში გამჯდარი რომელიმე ჩვეულების აღმოფხვრა და ჩვენს კურთხეულს თელავშიაც ასე მოხდა. ამას წინად მთელი გუნდი ახალ-გაზდა მოქეიფეთა, მთელი დღის ქეიფის და სმის შემდეგ, ღამის ცხრა-ათს საათზედ გამობრძანდა თელავის მოედანზედ ზურნით და ასტეხეს ერთი კიჟინა და ხმაურობა. სწორედ ამ დროს მეზურნეებმა შენიშნეს, რომ ბოქაული მოდისო და არა თუ შეაყენეს ზურნის დაკვრა, წასვლაც დააპირეს, მაგრამ ერთმა მოქეიფეთაგანმა სილა აჭამა ერთს მეზურნეს, სად მიდიხარო. მოვიდა ბოქაული და მამა-შვილურად, ტკბილად დაუწყო თხოვნა მოქეიფეთ, რომ შინ წასულიყვნენ და ზურნაც დაეთხოვნათ, რადგანაც ზურნის ამ დროს დაკვრა აკრძალულიაო. მაგრამ შენ, არ მომიკვდე, მკითხველო, რომ

## ორი წერილი

თ-დის გრ. ორბელიანისა.

I

უგანათლებულესო კნეინავ,

ჩემო მოწყალეო დაო, ეკატერინე!

ჭეშმარიტის სიხარულით მოგილოცავ თქვენის საყვარელის ნიკოს მშვიდობით მობძანებამ ცოლ-შვილითა. ღმერთმან ჰყოს ბედნიერად როგორცა საზოგადოდ ჩვენ ვისურვებთ, მაგრამ ეხლა კი დროა, რომ მოხედოს თავის ქვეყანას და დაბინავდეს მამა-პაპეულის მამულსა, ზეგარდამო ნაკურთხსა ნაყოფიერებითა, მშვენივრად შემკობილის მდებარეობითა, საზაფხულოდ ბორდითა, საზამთროდ ზუგდიდითა მთა, ზღვა, ტყე, გარშემო ნათესაობა, ხალხი, რომელთანაცა ხართ დაკავშირებული საუკუნოების განმავლობითა დ რომლისათვის დიდად არის საჭირო ისევ თქვენივე ოჯახი! მაშა ვინ უნდა იყოს მზრუნველი მაგათ კეთილ-დღეობისათვის? ვისა შესტკივა გული მაგათ უბედურებაში, თუ არა თქვენვე? სამეგრელო დ თქვენ ეკუთვნით ერთმანეთსა დ ხართ განუყრელნი. ქნიაზმა ნიკომ ეხლავ, ვიდრე ყმაწვილი კაცია, უნდა დაჰკრას ბარი დ მკვიდრად, შეურყევლად, აღაშენოს ოჯახი თვისი, რომ დროზე, ხანში შესულმა თვითვე გაიხაროს თავის ღვაწლის ნაყოფითა, თორემ, როცა ჩემსავით მოხუცდება, მაშინ ველარა აშენდება-რა. ზუგდიდი ერჩივნოს პეტერბურგსა; ზუგდიდში უნდა იყოს მაგის სიხარული, მანდ უნდა დათესოს ყოველივე კეთილი დ მით დროზე აღადგინოს დაცემული თავისი ქვეყანა დ ამას შეიძლებს კიდეცა ღვთის შეწევნითა.

ახლა აქაური სამწუხარო ამბავი ეს გახლავსთ, რომ მოვიდა ღრუბელსავით კალია დ მოჭამა ქიზიყანა ყარაბაღიდამ ბორამდის დ ანანურამდის დ ერთი ვეება ნაწილი ამ ღრუბელ კალიისა წავიდა კახეთისაგენაც დ მოველით დიდს შიმშილობას, მაგრამ ეტყობა თბილისი ჯერ მაგდენს არა ზრუნავს მომავალისთვს: სად იყო სად არ იყო, გაჩნდენ ბანჯიდამ ნიკო ჭავჭავაძე დ დაღისტნიდამ ჩუენი ივანე ორბელიანი. აქ დახვდენ შერემეტიევი, ვასტენ დ ჩვენცა დ შეირყა თბილისი დ გაიმართა პიკნიკები, სადილვახშმები, «სან-სუსში», ორთაჭალას, ვერაზე, «კინლოუსტში»; მუსიკა, ზურნა, საზანდრები, მშვენიერნი ქალები, მტკვრის პირზე ლეკურ-ვალცები, იყო ოხვრა-კვნესანიცა დ მართლად უამისოდ რომ ლაზათი არა აქვს ცარიელს სადილის ჭამას, აბა რა, ვქნათ? ბოლოს, ღმერთმა უშველოსო, ნიკო წავიდა სამზღვარ-გარე, ივანეცა ისევ დაღესტანს დ დამშვიდდა და დაყრუვდა თბილისი.

მცხეთას იყო ქორწილი ბაბოს ქალისა და დრაგუნის მუხრანსკისა, მიხეილის შვილისა დ იქიდამვე წავიდენ «ზაგრანიცას». ირაკლის მუხრანსკის ქალი შეირთო შაქრო ჯორჯაძემ დ საყდრიდამვე გაექანნენ სამზღვარსგარე. ასე გასინჯეთ, ჯენტელმენ ონიკოვიც კი წავიდა ვენაში დ იქიდამ პარიჟსა. მალე წავიდენ იქითკენვე სტაროსელსკი დ ტერლუქაზოვიცა—ღენერალი დ დავრჩით მხოლოდ მე დ თქვენი დიდი ხნის თაიგული ისაკ თუმანოვი, ორნივე გადაყრუებულნი.—სტ—სკის ეყოლა ქალი, მომილოცავს!

მოვიდა პრიკაზის გასაჩხრეკად პეტერბურგიდამ ხიტრავო ცოლით. ოჰ, ოჰ, რა ცოლით, მშვენიერებით სავსე. ამის წითელი ყელი დ ღაბაბი ინდოეთის ფასად ღირს. კარგია, რომ ჩემი ბატონი ბ—ლ დ—ნი აქ არა

ამ მამაშვილურს თხოვნას მათ ყური არ ათხოვეს—და ლანძღვა გინებაც დაუწყეს ბოქაულს. შემდეგ რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მთელი ეს გუნდი მოქეიფეთა, დაესია ბოქაულს, წააქციეს და მთლად გაჯიჯგნეს. იმ წამსვე აცნობეს მაზრის უფროსს, რომლის მოსვლისათანავე ყველანი მიიმალ-მოიმალნენ, მაგრამ სად წაუვიდოდენ სამართალს. შეადგინეს მაშინვე ოქმი და გარდასცეს აქაურს გამოჩენილს (?) გამომძიებელს ს-ხს ნ-ვს. ეს ის ნ-ვი გახლავთ, რომელიც თუ ვინმე თ-დი ანუ აზ-რია, ისეთ სასტიკ გამოძიებას ახდენს, რომ კაცს დასახრჩობად არ ინდობს, და აქ-კი, როცა მას მოხსენებული ამბის ოქმი გადასცეს, ყურსაც არ იბერტყს და როგორც, ნამდვილად ამბობენ, ანუგეშებს კიდეც დამნაშავეთ, რომ საქმეს ისე წავიყვან, რომ არაფერი გევნებათო. ჩვენის ფიქრით, ამ გვარი დანაშაულობანი ითხოვენ მსწრაფლ-გამოძიებას, მსწრაფლად დამნაშავის დასჯას, რადგანაც, თუ დღეს გალახეს თვით ბოქაული, ხვალ ხომ მეც და შენც გაგვლახვენ, მკითხველო, და ჩვენი ნ ვი-კი თითსაც არა სძრავს ამ საქმის დამთავრებისათვის. საჭიროა, რომ უმაღლესმა სამსჯავრომ ყურადღება მიაქციოს ამ ვაჟბატონს...

---

სოფ. შაშიანი, (კახეთი) მარიამობისთვის 15-ს. ს. შაშიანი ერთი მშვენიერი სოფელთაგანია თელავის მაზრაში. არც ერთ სოფელს არა აქვს ბოლო შემკობილი ვენახებით და კაკლებით ისე, როგორც შაშიანს. შუა სოფელში მშვენიერი ფართო გზებია, სადაც მუდმივ თოთამაშე ყმაწვილების გროვას ნახავთ და საღამობით კიდე სიმღერით მოსეირნე ქალთა კრებას. ბუნებით თუმცა შემკულია შაშიანი, მაგრამ ერთი ნაკლულევანება აქვს, რომელიც ძრიელ უშლის ამ სოფლის ბედნიერებას. ეს ნაკლულევანება გახლავთ უსკოლობა. სირცხვილიც კია ამისთანა სოფელში სკოლა არ იყოს; ამდენი მოზარდი ყმაწვილია, მოსურნე სწავლისა და უყურადღებოდ კი რჩებიან. მართალია, კვლანდებურად გულ უხვი მოსავალი აღარ მოდის აქ, როგორც საზოგადოდ მთელს კახეთში, მაგრამ ისე გალატაკებულიც არ არის შაშიანი, რომ თავისუფლად ვერ იხადოს ყოველ გვარი გადასახადი და აგრეთვე სკოლის ფულიც. ამ ბოლო დროს ისე გაიხსნა სწავლის სურვილი გლეხებში, რომ სულ ნატრულობენ: ნეტა ერთი ჩვენშიაც გახსნან სკოლაო». ეს სურვილი მით უფრო ძრიელდება მათში, რომ ხედვენ მეორე თავიანთ ახლო სოფ. შრიათუბანში სკოლას. ხედავენ, რომ შრიათუბანში ბევრმა იცის წერა-კითხვა, შაშიანში კი სოფლის მოხელეებმაც არ იციან. თუ დასაწერი ან წასაკითხი აქვთ რამე მიჰმართავენ სოფლის მწერალს, რომელსაც სწავლულ კაცად სთვლიან; თუნდ რომ ბევრი უწესობა ჩაიდინოს აქაურმა მწერალმა, ვერც კი გამოსცვლიან, რადგანაც სხვას ვერ იშოვიან ამიტომაც არის, რომ აქაურმა მწერალმა, თუმც რამდენჯერმე გაათავა ყველი, მაგრამ დღესაც ისევ ის არი..

სკოლას მალე და ადვილად გახსნიდენ აქაურები, რომ ზოგიერთა პირები თავიანთ პირადულ სარგებლობის გულისთვის არ უშლიდნენ. სოფლის ყველა კეთილ წყობილებას უნდა თანაუგრძნობდენ მღვდელიც და მამასახლისიც, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ სოფელში. საცა ესენი არ თანაუგრძნობენ იქ არა გაკეთდება! ღმერთმა ქნას, გამოუჩინოს შაშიანელებს იგეთი გარეშე პირი მაინც, რომელმაც იკისროს სკოლის დაარსება ამათში!

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არა ვთქვა აქაურ მოხელეებზე. ჩვენი მამასახლისი, სუდიები და ექვსნი პატიოსანნი კაცნი ძალიან სდევნიან უწესოებას, თუმცა თვითონც კი უწესურად იქცევიან.

ნამეტნავად სდევნიან ქურდობას, თითქმის ნემსის ქურდსაც კი სჯიან თავიანც სარგებლობისთვის. ჯერ შარშან ორი ცოლშვილიანი კაცი დაიჭირეს ქურდობაში, გაუკრეს ხელები და გაგზავნეს ციხეში. ყოველ წელიწადს ნაბრძანები აქვთ, მოკრიფონ სოფელში ფული და უგზავნონ ციხეში. ვინ იცის ამ ფულის კრეფაში, ვინ რამდენს გამორჩება! მეორედ კიდევ—ერთი ამ გაგზავნილი ქურდის სახლობაში ვაჭარ ურიას ნება მისცეს დადგომისა და მან ისე გაიდგა იქ ფეხი, როგორც თავის საკუთარს სახლში. თუმცა მთელ სოფელზე ცუდი გავლენა აქვს ამ მაგალითს. მაგრამ რას იზამენ, როცა ურიას მოხელეებთან საქმე აქვს დაჭერილი? კიდევ შემდეგი მაგალითი: ერთ ბიჭს თავის მეზობლისთვის მოეპარა ორ შაურიანი საზამთრო, გაექრა და შეეჭამა. მეზობელმა გაიგო ეს, საზამთროს ქურდები იპოვა, მოხელე—«პატიოსან კაცებთან» აილო და უჩივლა ბიჭს. იმათ მაშინათვე გადუწყვიტეს ქურდს ჯარიმად ხუთმეტი ლიტრა პური, თუმცა კი ქურდი ბიჭის სახლობაში ორი კოდი პურის მეტი არ იპოვებოდა; ეს ხუთმეტი ლიტრა პურიც თავიანთ საყვარელ მედუქნე ადამას მიჰყიდეს იაფად, ორ მანეთად, ჩასხდნენ დუქანში ჩვეულებისამებრ და ქეიფი გაატარეს. ძრიელ შესანიშნავი გახლავთ ადამას დუქანი, ერთი ორადა ჰყიდის დამპალ საქონელს, ვინ არის, რომ ხმა ამოიღოს; მამასახლისი და სუდიები მუდმივ ამ დუქანში არიან, არაყსა ჰსმენ და მრავარ ქამიერს დასძახიან. აბა ესენი რად გასცემენ ხმას მედუქნეს!..

თომა კახელი.

---

# რუსეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆◆ რეველის კორესპონდენტი გაზეთის «ნოვოსტისა» შემდეგს ამბავს იწერება ამ ქალაქის თავის და ადმინისტრაციის შორის განხეთების შესახებ:

«ესტლიანდიის გუბერნატორი, დეისტვიტელნი სტატსკი-სოვეტნიკი თავადი შახოვსკი ამ თანამდებობაზედ ამ სამი თვის წინად დაინიშნა. გუბერნატორმა პირველადვე საქმეთა წარმოებას მიაქცია ყურადღება, რადგანაც ნემეცური ენა იხმარებოდა არამც თუ ადმინისტრაციულს დაწესებულებებში, არამედ თვით გუბერნატორის კანცელარიაშიაც. ამბობენ, რომ წინანდელი გუბერნატორი სხვა-და-სხვა მოხსენებათ თავის მოხელეებისაგან ნემეცურს ენაზედ ილებდაო. თავადმა შახოვსკიმ მოსვლის უმალვე საჭიროდ დაინახა გამოეცვალა მთლად კანცელარიის მოხელეები. ორი კვირის შემდეგ ახალმა გუბერნატორმა ცირკულიარი გაუგზავნა ესტლიანდიის ყველა გუბერნატორებს, რომ ჩემდამო მოსულ ქაღალდებიდამ სჩანს, რომ ქალაქის თავები ესტლანდიის გუბერნისა კანონის წინაალმდეგ იქცევიან და ქაღალდებს ნემეცურს ენაზედ სწერენო. ამას იქით ყველა სამმართველოებში და თვით ქალაქის გამგეობაშიაც ქაღალდები კანონის ძალით რუსულ ენაზედ უნდა იწერებოდენო.

ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი მოახდინა აქაურს ნემეცებში. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აქაური სამმართველოები ნემეცებს უჭირავთ ხელში: მათ ემორჩილება პოლიციაც, მათ ხელშივეა სამართალიც, ასე რომ გუბერნატორს არა აქვს უფლება არც დასაჯოს და არც დაითხოვოს პოლიციის რომელიმე მოხელე.

როდესაც ქალაქის თავმა ბრეიფვენჰაგენმა ეს ცირკულიარი მიიღო, მან რუსულად მიუგო გუბერნატორს პასუხი, რომ მზად ვარ თქვენს განკარ-

---

ბძანდება, თორემ გახდებოდა ამისი მონა, მოსამსახურე, კარის ყარაული!

ჩემს საკუთარს ბატონს, ნიკოს და მისს მეუღლეს, ჯერ ჩემგან უცნობსა, გულითადის სიყვარულით მოვახსენებ ჩემს ჭეშმარიტს პატივისცემასა დ ღმერთსა ვსთხოვ მაგათ ბედნიერებით ცხოვრებას. მიბძანეთ ჩემი საყუარელის სალომეს ამბავი. სად არის ანდრია?

ღმერთი იყოს მფარველი დ ნუგეშის მცემელი თქვენი ყოველსა ჟამსა დ ყოველსა ალაგსა. ვეგები მარადის ერთგული დ პატივისმცემელი

თქვენის უგანათლებულესის

უმორჩილესი მოსამსახურე

თ. გრ. ორბელიანი.

ივნისის 16-ს 1879,

თბილისი.

ჩემო მწყალობელო დედუფალო!

დავბერდი, სულის გზას შევუდეგ, ვჰკითხულობ ფსალმუნსა დ, აი, მეცა მივჰბაძე დ თუ არ მოგეწონოსთ დახიეთ:

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმინდასა
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებასა?...
სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილი,
ვის არ შეესხა ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად,
დ სიყვარულით შეიწყალა ცთომილი ვნებით...
ვინც ამა სოფლის დიდებასა მძლებრ მიათოვსა,
მონებრ არ მისდევს, ჰსცნობს რა მისს შუქს ფუჭ-წარმავალსა...
ვინც მტერებსა ხმ..თა მაღლით ამცნო სიმართლე
დ მას დაცემულს მისცა ხელი დ აღადგინა!...
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა
ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი!

II

თქვენო უგანათლებულესობავ

მოწყალეო დაო ეკატერინავ!

ვჰსცოდე ცად მიმართ დ ვარ წინაშე თქუენსა დამნაშავე დ პირშავად; არ ვამართლებ ჩემს თავსა, რომ აქამომდის ვერ მოგართვი პასუხი თქვენის წერილისა, ჩემთვის მარად ძვირფასისა. უნდა მომიტევოთ, რადგანაც მიცნობთ სიყრმითგანვე თავ-დადებით ერთგულსა დ პატივის-მცემელსა თქვენსა; უნდა მომიტევოთ, რადგანაც დავჰბერდი დ ამასთან მეტად უბედური წელიწადია ჩემთვის: დავჰკარგე ჩემი გულით საყუარელი ყაფლან, ძმა, მეგობარი, ამხანაგი! დავჰმარხე ჩემი საკუთარი სოსიკო, დიდად პატიოსანი, ჭკვიანი, გულით კეთილი, განთქმული ვაჟ-კაცობითა დ ამასთანავე ნასწავლი! და ახლა დადუმდა, გამოყრუვდა ჩუენი იგი ქუჩა, რომელიცა ოდესმე დუღდა მხიარულებითა დ იყო სავსე ყმაწვილ-კაცებითა დ ქალებითა, ქებულნი ზრდილობითა, მშვენიერებითა, გონებითა! აწ დავჰშთი მე მარტო დ ვარ ჩემს იმავე ქუჩაში, ვითარცა ვილაცა უცნობი სხვათათვის.

განვეშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა
გულითა გვიყუარდნენ.
თვალთ მიგვეფარნენ, წავიდნენ... ძველთაგან დავჰშთით მე დ შენ!..

ასე ჩემო უსაყუარელესო დაო, არ უნდა კი მიწყრებოდე, უნდა შემიბრალო, უნდა შემიბრალო. აღარ შევაწუხებ ჩემის ვაებითა.

რა ამბავი იცით თქვენის ნიკოსი დ ანდრიასი? დროა, რომ მოვიდეს ნიკო, დასახლდეს თავის მამა-პაპეულთ მამულში, რომ გაჩნდეს ერთი მაინც ოჯახი საქართველოში განსასვენებლად, ჩვენის დაჩაგრულის გულისა. ირწმუნეთ ნიკოს ბედნიერება მხოლოდ მანდ არის დ არასადამე სხუაგან. წყალობა კელმწიფისა არცა მანდ მოაკლდება, დ მხოლოდ პეტერბურგისათვის რა საჭიროა დადიანი? აქ კი თავს შემოევლება მთლად ჩვენი ქვეყანა.

თბილისი მეტად გადიდდა, გამრავლდა ხალხითა, ასე რომ მიხაილლოვსკის ხიდი ველარ იტევს მიმო-

გულებას დაემორჩილო, მაგრამ ვალად ვსთვლი ეს ცირკულიარი ქალაქის საბჭოს შევატყობინოვო. გუბერნატორის ბძანებით, საქალაქო საქმეთათვის დაარსებულმა დაწესებულებამ გამოაცხადა, რომ ეგ საგანი ისეთი არსებისა არისო, რომ საბჭო მის განხილვაში არ უნდა შესულიყოვო და ნება მისცა ხმოსანთა გამოეთქვათ თავისი აზრი: ჰსურთ თუ არა იჩივლონ გუბერნიის უფროსის განკარგულების გამო უმართებულეს სენატში. არაჩვეულებრივმა კრებამ გადასწყვიტა საჩივარის შეტანა, იმის მიუხედავად, რომ დებულების მე-9 მუხლი, მოხსენებული გუბერნატორის ცირკულიარში, პირ-და-პირ ამბობს შემდეგს: საზოგადო ყრილობაზედ საქმეთ-წარმოებაში საქალაქო საზოგადო დაწესებულებათა შეიძლება იხმარებოდეს, ახალ განკარგულებამდე, რუსულის ენის გარდა, აგრეთვე ნემენცური ენაცაო». დასასრულ, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ჯერ 1878 წელსვე ამ გვარივე საჩივრები შეიტანა რამდენიმე საქალაქო საბჭომ უმართებულეს სენატში, მაგრამ უკანასკნელმა პირ-და-პირ გადასწყვიტა, რომ რუსულის ენის ხმარება საგუბერნიო მთავრობასთან მიწერ-მოწერის დროს, სავალდებულოა საქალაქო საბჭოთათვისაო.

რადგანაც საბჭომ გადასწყვიტა სენატში საჩივრის შეტანა, ბრეიტინბაგენი განაგრძობდა მიწერ-მოწერას გუბერნატორთან ნემენცურად, ვიდრე, ბოლოს დროს, აგვისტოს 8 არ გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება ამის დათხოვნის შესახებ.

---

## უცხოეთი

◆◆ სრულიად ევროპის ყურადღება გერმანიისა და ესპანიისაკენ არის ამ ჟამად მიქცეული. კაროლინის კუნძულების საქმეს იმ თავიდამ ერთ უბრალო საქმედ სთვლიდენ, რომელსაც ადვილად გადასწყვეტენ თვით გერმანია და ესპანია ერთმანეთ შორის დიპლომატიურ მოლაპარაკებითაო, და თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ მედიატორეთა სამართალი, უეჭველია, მოარიგებს ამ ორ სახელმწიფოთაო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ესპანიელთა დიდი შეურაცხება მიაყენეს გერმანიის ელჩსა და დროშას მადრიდში ასე ადვილად მორიგებაზე აღარავინ ლაპარაკობს. პირ-იქით იმას გაიძახიან, რომ ამიერიდამ გერმანიისა და ესპანიის შორის მორიგების ჩამოგდება კარგა ძნელი საქმეაო; ელჩისა და დროშის ასე სასტიკად გალანძღვა მოსათმენი არ არის და გერმანიაც ვერ მოითმენს ამას ესპანიისაგანაო. შეიძლება ერთმა გარემოებამ გამოაკეთოს საქმეო—მაგალითად, თუ ესპანია უმდაბლესს ბოდიშს მოითხოვს გერმანიის წინაშეო; მაგრამ ასეთ ბოდიშის მოთხოვას ვერვინ გაუცხადებს ამ ჟამად ესპანიელებს, რომელთა სიბრაზე, მძულვარება გერმანიისადმი ყოველ საათობით იზრდება. მეფე ალფონსი და პირველი მინისტრი კანოვასი კრინტსაც ვერ დაძვრენ ამ ბოდიშის მოთხოვნაზე. ესპანიის რესპუბლიკურ დასს ძალიან მარჯვე დრო აქვს ეხლა და ფხიზლადაც არის ეს დასი. საქმეს თან-და-თან ისეთი ფერი ედება, რომ, როგორც გუშინ მოვიხსენეთ, ადვილად შეიძლება ესპანიაში არეულობა მოხდეს და ძირეულად შეიცვალოს მმართებლობითი წეს-წყობილება.

გასულის აგვისტოს 20-ს (ენკენისთვის 2-ს) ესპანიის მინისტრთა რჩევას დაუდგენია: ა) ესპანია ენერგიულად დაიცავს თვის უმაღლეს უფლებათ კაროლინის კუნძულებზე; ბ) არას დროს არ უნდა დაეთანხმოს ესპანიის მმართებლობა მედიატორეთა სამართალს გადასცეს კაროლინის კუნძულების საქმე; გ) გერმანიისაგან თუნდ ერთის ამ კუნძულთაგანის დაჭერა და ესპანიისაგან წინადადების შემდეგ უარის თქმა, რომ მოაშოროს თვისი ჯარები ამ კუნძულებს,—ნამდვილ ომის მიზეზად (casus belli) უნდა ჩაითვალოს. ასეთი გადაწყვეტილება დაადგინა ესპანიის მმართებლობამაო—სწერს ერთი ნემეცური გაზეთი. მადრიდში შეუძლებელად სთვლიან ამ საქმის დიპლომატიურ მოლაპარაკებით დამთავრებას. ესპანიის მმართებლობას არ შეუძლიან თუნდ სულ მცირე თავაზიც გაუწიოს გერმანიას ამ საქმეში, რადგან მაშინ ესპანიაში არსებული დინასტია ძაფზე დარჩება ჩამოკიდებულიო.»

◆◆ ესპანიის მმართებლობას გადაუწყვეტია სამხედრო სამართალში მისცეს კუნძული იაპის გუბერნატორი, და ესპანიის ორის საომარი გემის უფროსი, რომელთაც წინააღმდეგობა არ გაუწიეს ხსენებულს კუნძულზე გასულს გერმანიელებს. ამბობენო აგრეთვე, რომ გერმანიის ესკადრა, რომელიც ზანზიბარის ნაპირებთან მიმოვლიდა კაროლინის კუნძულებისაკენ გაემგზავრაო.

◆◆ პრუსიის მმართებლობა კარგა ხანია დევნის ამ სახელმწიფოდამ თვის არა-ქვემდებარე მცხოვრებთ. დიდ ძალი რუსეთის ქვეშევრდომნი განიდევნენ ამ სახელწმიფოდამ. განდევნილთ შორის არიან ისეთნიც, რომელთაც დაბადებითვე პრუსიაში უცხოვრიათ, იქ გაზდილან, იქ დაუწყვიათ ერთი თუ მეორე საქმე, ერთის სიტყვით შეზრდიან ამ ქვეყანას.—ევროპის გაზეთების უმეტესი ნაწილი ჰკიცხავდენ და დღესაც ჰკიცხავენ პრუსიის მმართებლობისაგან ასეთ უკაცურად მოპყრობას სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომებისას. ერთი მხოლოდ ავსტრო-ვენგრიის გაზეთები აქამდის ხმას არ იღებდენ პრუსიის მმართებლობის წინააღმდეგ. მაგრამ დღეს, როცა ეს მმართებლობა ავსტრო-ვენგრიელთ განდევნასაც შეუდგა პრუსიიდამ ხსენებული გაზეთებიც მიჰყვენ ამ ზომების საწინააღმდეგო-წერილების ბეჭდვას. N. F. Presse-ი სწერს მაგალითად: «გერმანიის კვალობაზე რომ რუსეთმაც და ავსტრო-ვენგრიამაც განდევნონ თავიანთ სახელმწიფოებიდამ გერმანიელთა ქვეშევრდომნი, მაშინ რიცხვი ამ განდევნილ ნემეცებისა, არა თუ დიდად აღემატება გერმანიიდამ განდევნილ რუსისა და ავსტრიის ქვეშევრდომებს, არამედ ეს ზომა უფრო დამაზარელებელი იქმნებოდა თვით ნემეც ქვეშევრდომებისათვისაც, ვინემ განდევნილ რუსისა და ავსტრო-ვენგრიის ქვეშევრდომთათვის. მაგრამ რა გინდ საგანსაც არ უნდა გამოეწვიოს ეს ზომები,—დაფუძნებულია იგი ხალხთა შორებრივს შეთანხმებაზე, თუ გერმანია თვით-მნებელობით მოქმედებს ამ შემთხვევაში, რამაც, შეიძლება, სხვა სახელწიფოთაც მიაღებინოს ასეთი ზომები,—ეს კი ცხადია, რომ ამ გვარი ზომების მიღება ბარბაროსობაა და ნაბიჯის უკან გადადგმას ნიშნვენ სამართლიანს ხალხთა-შორებრივს განწყობილებაში და ვერავითარი პოლიტიკური, თუნდა ეკონომიური მოსაზრება ვერ გაამრთელებს მას. უცხო-ქვეყნელთა განვდევნა, რომელთაც არავითარი დანაშაულება არ მიუძღვისთ, იმასვე ნიშნავს, რომ ამათ არავითარი უფლება არა ჰქონდეთ, და თუ ამას შეიწყნარებს ევროპიული სამართლიანობა, მაშინ დასავლეთ-ქრისტიანულს კულტურას მოიცვას აღმოსავლეთ-დესპოტიური ბნელეთი, მაგრამ აღმოსავლეთში სტუმართ მოყვარეობა მაინც იციან. ჩვენს მსჯელობას ჭეშმარიტება არ მოაკლდება იმ შემთხვევაშიაც, თუ რომ განდევნის წესები მიმართულნი არიან განსაკუთრებით იმ პოლშურ პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელსაც არც ჩვენ თანავუგრძნობთ. ყოველს სახელმწიფოს სრული უფლება და ძალ-ღონე მოსდევს თვისს სამფლობელოში დასთრ-

---

მსვლელთა, ეკიპაჟებსა, ფურგონებსა, ურმებსა; ერთი თეატრი ველარა ჰყოფნის ქალაქის მცხოვრებთა დ̃ ამის გამო გაიმართა კრუჟოკი, რომლისა ჩლენები ირიცხებიან შვიდასზე მეტნი; გაიმართა ტიფლისკის სობრანიე, ეგრეთვე რამდენისამე ასის ჩლენებით, სადაცა მუზიკის გარდა არიან ჩვენნი საზანდრებიცა, სიმღერითა დ̃ ლეკურის თამაშობითა; ამის გარდა არის ანგლიისკის კლუბი, მუშინსკის კლუბი, ცირკი დ̃ კარუსელ; ვისაც ყმაწვილი გული აქვს—მხიარულობს.

მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა განწირულს მდგომარეობაში იმყოფება ჩუენი თავადობა, რა საშინლად დაეცა დ̃ გაწყალდა სიღარიბისაგან! საქართველო მრავალჯერ აოხრებული, გადამწვარა ლანგთემურისაგან, შაჰაბაზისაგან, ოსმალთა დ̃ სპარსთაგან, მაგრამ გადარჩენილი სიკუდილისაგან ხალხი გამოდიოდა ტყის სიღრმითგან, კლდეების ხეობიდამ დ̃ თავის მიწაზე აშენებდა თავის ქოხსა დ̃ შემდეგ, ჟამთა განმავალობაში, ნელ-ნელა მოდიოდა ცხოვრებაში. ახლა ჩუენს თავადობას აღარსად ექნება თავის შესაფარებელი. ჩვენი მომავალი მეტად დაბნელებულია დ̃ არსიდამ ჰსჩანს ნათელი ნუგეშისა.

ველიკი კნიაზი, როგორც ისმის მობძანდება თებერვლის გასულს დ̃ ისევ დაბრუნდება, რადგანაც მისი უფროსი შვილი უნდა დააფიცონ ცერემონიით მაისში, მერე მგონია გავიდნენ სამზღვარ გარეთ დ̃ ბოლოს ივნისში, ივლისში მობძანდებიან პირ-და-პირ ბორჯომსა.

სტაროსელსკი წავიდა გუშინ პეტერბურგს სხუა-დ̃-სხუა პროექტებითა. კნიაზ მირსკი აპირებს აქედამ სრულებით გადასახლებას პეტერბურგში დ̃ მისს ადგილს მიიღებს ლევან მელიქოვი, მაგრამ, ვაი, თუ ამანაც ვერ გაუძლოს მეტად ძნელს თანამდებობას დ̃ მაშინ ვინ იცის, ვის ხელში ჩავარდება ბედი ჩვენის ქვეყნისა. ეს ფიქრი ძალიან მაწუხებს.

თქვენი ძმისწულები სალომე, ელენე, პაკო, თამარ მშვიდობით არიან დ̃ აშვენებენ აქაურს საზოგადოებას ზრდილობითა, სილამაზითა, გულითა. მეტად მშვენიერი ვაჟი ჰყავს თამარსა, ჩემი ნათლული, ვეება ტანისა, გასაოცებელის თვალებითა. კარგი ეს არის რომ თვით თამარიცა ჩემი ნათლული არის. ირაკლიცა ჯერ თუმცა არ არის სრულიად განთავისუფლებული ავადმყოფობისაგან, მაგრამ დიდად უკეთ არის დ̃ კარგს ქეიფზე. ამ პატარა ვაჟმა გააცოცხლა ირაკლიცა დ̃ ბატონის რძალიცა. წინანდალშიაც ღვთით კარგად არიან. გახსოვთ ჩუენი წინანდალში ყოფნა, როგორ გვეშინოდა მე დ̃ დავითს გრძელის მებაღისა!

ტასო ბაგარინისა დ̃ ელენე კარგად არიან, ევრეთვე დაღისტანში მყოფნი, ბედისგან იქ განდევნილნი ივანე დ̃ სოფიო. ძალიან მაწუხებს, რომ ორი კვირა არის ძალუა ვარინკასი დ̃ გიორგის ამბავი აღარა ვიცი-რა.

მესამე დღეა, რა მოდის დ̃ მოდის მოუწყვეტლივ საზარელი თოვლი.

ამ დღეებში იყო აქა დ̃ წავიდა ისევ თავის გუბერნიაში ჩუენი ნიკო ჭავჭავაძე, უწინდელი გიჟი ნიკო დ̃ ახლა კი დიდად გამოჩენილი გუბერნატორი ელისავეტპოლისა, მეტად კარგი რამ არის დ̃ გულითაც მიყვარს.

ღმერთი იყოს მარადის თქვენი მფარველი დ̃ თქვენის მშვენიერის შვილებისა დ̃ მეცა ოდესმე გახსოვდეთ, ხანდახან, და მეყოფა ჩემ საბედნიეროდ.

თქვენი მარადის ერთგული მოსამსახურე
გრიგოლ ორბელიანი.

თქვენი მშვენიერი სალომე, ჩემი გულით საყვარელი სალომე სად არის, როგორ არის, რა ამბავი მოგდისთ? გთხოვთ, როცა მიჰსწეროთ, ჩემგანაც გამოუცხადოთ ჩემი ჭეშმარიტი, გულითადი პატივის-ცემა მისის ღირსეულის ქმრითა.

იანვრის 17-ს 1879 წ.
თბილისი.

გუნოს ისეთი მოქმედებანი, წინაალუდგეს მათ, რომელნიც სასაშიშრონი არიან სახელმწიფოს წეს-წყობილებისათვის. მაგრამ ასეთი საყოველთაო ზომების მიღება, რომელნიც ერთ რიგად სთრგუნავს ბრალსა და უბრალოს, მართალსა და უმართლოს, გამომსახველია ძალ-დატანებისა, თვით მნებელობისა, რომელს დასისაკენაც უნდა იყოს იგი მიმართული, განურჩევლად ეროვნობისა და სარწმუნოებისა... ავსტრიელ ვენგრიელნი ნემეცები თავის დღეში ვერ დაანებებენ თავს პოლშური პოლიტიკის წინაალმდეგ ბრძოლას, ავსტრიაში პოლშელები ვერ ეღირსებიან გაბატონებას; მაგრამ ამ თვის მოსისხლე მტრებზე იგი ვერ იხმარს გერმანიისებურ ზომებს; ავსტრია არ იქს იმას, რომ ძალდატანებამ გადააჯობოს სამართლიანობას,—მართალნი და ბრალიანი ერთად დაიტანჯონ...».

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

სექტემბრის 3-ს.

**პეტერბურგი.** გაზეთები ამბობენ, რომ განზრახვაა მთავრობას კიდევ საღამოჟინო ბაჟი იმ თუჯსა და რკინაზე, რომელიც ჯერ არაფერს საგანზე არ არის მოხმარებული.

ჰფიქრობენ, რომ მომეტებული ნაწილი ნადელების შესყიდვის დაწესებულების საქმეებისა გადაეცეს ზოგი დეპარტამენტს სხვა-და-სხვა გადასახადებისას და ზოგი სახელმწიფო ბანკს;

კრება თუჯის წარმოებისა რკინისკეთებისა და ფოლადის ჩამოსხმის ქარხნების წარმომადგენელთა გაიხსნება პეტერბურგს სექტემბრის 25

თურქესტანის სამხედრო საოლქოში უნდა დაწესდეს საოლქო და სამხედრო სამოსამართლო მმართველობა.

**ბერლინი.** გუშინ იქმნა მიღებული პასუხი ისპანიის მმართებლობისა თ. ბისმარკის წინადადებაზე იმის შესახებ, რომ დავა კაროლინის კუნძულების შესახებ გადასწყდეს სამედიატორო სამართალით.

**ტულონი.** ხოლერა, როგორც ეტყობა, ნელდება; მცხოვრებელნი ბრუნდებიან.

**რომი.** ხოლერა იტალიაში სხვა-და-სხვა ალაგას გაჩნდა, მაგრამ არ გაძლიერებულა; აგვისტოს 6-დამ სექტემბრის 12-მდე სრულიად იტალიაში გახდა ავად 146 კაცი, რომელთაგან მოკვდა 86. ავად-მყოფების რიცხვი პალერმოში ეხლა მცირეა.

სექტემბრის 4-ს.

**პეტერბურგი..** სრულიად სომეხთა კათოლიკოს ებოძა ნიშანი წმ. ალექსანდრე ნევისა.

გამოცხადებულია ახალი წესდება რუსეთში ღვინოების გაყიდვისა.

გამოცხადებულ იქმნა სავალდებულო დადგენილობა, რომ ერთის წლის ვადით კიდე გაგრძელდეს პეტერბურგში სასტიკი ზედამხედველობა (усиленная охрана.)

ზღვის უწყებამ ორი მსწრაფლ-მოსიარულე სამარი გემი შეუკვეთა დანიაში.

**კარლსრუე.** იმპერატორმა ვილჰელმა დახედა აქაური თავისუფალ სანიტარების რაზმი და განუცხადა მათ იმედი, რომ დიდს ხანს არ დასჭირდებათ თავიანთი ცოდნა გამოიჩინონ ბრძოლის ველზე.

**პარიჟი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა განუცხადა თვის ამომრჩეველთ, რომ იგი წინაალმდეგია კოლონიალურის პოლიტიკისა და რომ ერთად-ერთს საყურადღებო საგანს ამ ჟამად გადასახადების თანაბრად გაწერა შეადგენსო.

## ბირჟა

პეტერბურგი სექტემბრის 3.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | $24^1/_{32}$ $24^1/_8$ 24 |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | $204^3/_8$ 205 $204^1/_4$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $252^3/_4$ $252^1/_2$ |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 26 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 25 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 33 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | $5^1/_4$ და $6^1/_2$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | $99^1/_2$ მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | $99^1/_4$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | $98^1/_2$ მ. მყ. |
| მეოთხე გამოც. — — | $98^1/_2$ მ. მყ. |
| მეხუთე გამოც. — — | 98 მ. 62 კ. მყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — | $97^1/_2$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც — — | 97 მ. 62 კ. მყ. |
| მესამე გამოც. — — | $97^1/_2$ მ. მყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $220^1/_4$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $208^1/_4$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 174 მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. $89^1/_2$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 92 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ენკენისთვიდამ 1 ღვინობისთვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ | 2 კ |

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ | $2^1/_2$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის. ლავაში 1 | | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში 1 | | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ |

მროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. | 6 კ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 5 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 13 კ |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 7 კ |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | 1 | გ. | |
| მეორისა — | —1 | — გ. | |

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდამ ბათუმისაკენ

8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის

10 საათ. 25 წამ. ღამით

თბილისიდამ ბაქოსკენ

10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის

8 საათ. დილით

თბილისიდამ სურამისაკენ

3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის

8 საათზედ 24 წამ. დილით.

# განცხადებანი


სამასწავლებლო მთავრობის

ნება დართვით გაიხსნა

1 კლ. სასწავლებელი

**პანსიონით**

ჟმაწვილების მოსამზადებლად გიმნაზიაში, რეალურს და სხვა სასწავლებლებში შესასვლელად. ქუკია ელისაბედის ქუჩა სახლის № 99.

(5—1)

**სასწავლებელი და პანსიონი**

კლასიკური გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის 4 წლის კურსით

ა. ს. გინკულოვისა.

მოწაფეთა და პანსიონერთა მიღება დაიწყება ენკენისთვის 2-დამ; სწავლა ენკენისთვის 5-დამ დაწვრილებითი პირობანი შეიძლება შეიტყოს მიხაილის ქუჩ., № 81 და ელისაბედის ქუჩ., № 10. (5—3)

**სასწავლებელი და პანსიონი**

**ე. კოვვაჩისა**

შახმურადოვის სახლში,—ჭავჭავაძის და ბრიბოედოვის ქუჩების კუთხეში. იყვანენ ყმაწვილებს მოსამზადებლად ყველა სასწავლებლებისათვის; დღე და ღამ შესანახავათ მიიღებიან აგრეთვე გიმნაზიის და კადეტის კორპუსის უმცროსი კლასების მოსწავლენი, გაკვეთილების რეპეტეციით და ფრანცუზული ენის პრაქტიკით. სწავლა დაიწყობა სექტემბრის 2-დგან.

სასწავლებელში პრაქტიკისათვის საჭირო არის ფრანცუზის ქალი.

(3—2) ე. კოვვაჩი.

**სათეატრო განცხადება.**

ამ წლის ოკტომბრის 1-დამ 1886 წლის აღებამდის **ქართული დრამატიული დასი** დაიწყებს წარმოდგენების გამართვას.

ამის გამო დასის გამგეობა მოიწვევს, როგორც მცოდნე არტისტებს აგრეთვე დასში ახლად შემოსვლის მსურველთ წარუდგინონ თავიანთი პირობანი დასის საქმეთა გამგეს.

(10—6) **საქმეთა გამგე ვ. აბაშიძე.**

ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარგარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩვენი ჩაი | | 1 მან. — კაპ. | ჩაის | სხვაგან | 1 მან. 20 | დირებულს. |
| ,, | ,, | 1 — 20 — | ,, | ,, | 1 — 50 — | |
| ,, | ,, | 1 — 40 — | ,, | ,, | 1 — 80 — | |
| ,, | იშვიათი | 1 — 60 — | ,, | ,, | 2 — 20 — | |
| ,, | ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, | ,, | 2 — 50 — | |
| ,, | ფუჩეფუ | 2 — ,, — | ,, | ,, | 2 — 80 — | |
| ;, | ფენომენი | 2 — 40 — | ,, | ,, | 3 — ,, — | |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. Იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; უველაფერი პირველ ხელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—24)


Доз. ценз. Тифлисъ, 4 Сентября 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი Ი. მაჩაბელი